კონკურსის „ფინანსური ასოციაციობანა“ ფარგლებში ჩატარებული აქტივობის წარდგენის ფორმა

ინფორმაცია კონკურსანტი სკოლისა და კონკურსანტი მასწავლებლის შესახებ

მარიამ ბოლქვაძე

სერვანტესის სახელობის გიმნაზია აია-ჯესს

ინფორმაცია ჩატარებული ღონისძიების შესახებ

კლასი, რომელშიც ჩატარდა აღნიშნული ღონისძიება	IXა
აქტივობის აღწერა ***(200-1000 სიტყვა)*** - *როგორ წარმართეთ აქტივობა?* - *სამაგიდო თამაშიდან რომელი მასალები გამოიყენეთ?* - *რა სტრუქტურით და თანმიმდევრობით განახორციელეთ იდეა აქტივობისთვის?* - *რა დამატებითი მეთოდები/საშუალებები გამოიყენეთ აქტივობის მსვლელობისას?* - *რა დრო დასჭირდა ჩატარებულ აქტივობას?*	სკოლაში, კონკრეტულ კლასში გამოვაცახადე ფინანსური ტერმინოლოგიის თვე და ყოველ გაკვეთილზე, მოსწავლეებს ამ თემის ირგვლივ ეძლეოდათ სხვადასხვა აქტივობა. აქტივობების დაწყებამდე მოსწავლეებს ჰქონდათ 1კვირა, რათა ზეპირად ესწავლათ თამაშში „ფინანსური ასოციაციობანა“ მოცემული სიტყვების არსი და მნიშვნელობა, განსაკუთრებით 4 და 5 ქულიანი სიტყვები (ცალკე შედგენილი ფინანსური ლექსიკონი გადავუგზავნე ელექტრონული ჟურნალის- Edupage-ის საშუალებით). **აქტივობა I-II**- შემთხვევითობის პრინციპით მოსწავლეები გავყავი ჯგუფებად -4 ჯგუფი, თითოეულ ჯგუფში 5 მოსწავლე. მათი ცოდნა შევამოწმე საგანმანათლებლო პლატფორმის საშუალებით, რომელზეც თამაში მე შევქმენი „ასოციაციობანაში“ მოცემული სიტყვების საშუალებით, იხ. ბმული (https://wordwall.net/resource/87565501) თამაში წარიმართა გუნდურად და ყველაზე მეტი ქულის მქონე გუნდი გახდა გამარჯვებული. ამავე გაკვეთილზე გვქონდა მეორე აქტივობა - მოსწავლეებმა ასევე ითამაშეს ჩემ მიერ შექმნილი თამაში „Entrepreneur“ , რომელიც არის ფინანსური სამაგიდო თამაში ბარათებით ფინანსურ ტერმინოლოგიაზე,

	სადაც გუნდებს 1 წუთში უნდა გამოეცნოთ რაც შეიძლება მეტი ფინანსური ტერმინი. აქაც გამარჯვებული გუნდი გამოვლინდა ქულების მიხედვით. **აქტივობა III**-კლასში იგივე გუნდებად გაყოფილი მოსწავლეები თამაშობენ „ფინანსურ ასოციაციობანას“ დამატებითი პირობით - უნდა ამოიღონ მხოლოდ 4 და 5 ქულიანი სიტყვები (ამან ხელი შეუწყო რთული ფინანსური ტერმინილოგიის შესწავლასა და მის დამუშავებას, თან ჰქონდათ 1 კვირა ამის შესასწავლად. რადგან 3 ქულიანი სიტყვების მნიშვნელობა ძირითადად ისედაც იცოდნენ). ამ შემთხვევაშიც გამარჯვებულია ყველაზე მეტი ქულის მქონე გუნდი. **აქტივობა IV** - იგივე გუნდები აკეთებენ დებატებს კარლ პოპერის სტილით. რეზოლუციები შემდეგია: 1. დამატებითი ღირებულების გადასახადი (დღგ) არ უნდა ეკისრებოდეთ ბიზნესებს 2. ფიზიკურ პირებზე ინკასოს დაკისრება არასამართლიანია 3. მოგების გადასახადს არ უნდა ვიხდიდეთ 4. კიბერჰიგიენა პირველი კლასიდან უნდა ისწავლებოდეს სკოლებში ბოლოს ამ ოთხი გუნდიდან გამარჯვებული 2 გუნდი შეხვდა ისევ ერთმანეთს და გამოვლინა ფინანსურ საკითხზე საუკეთესოდ მოდებატე გუნდი. გამარჯვებულებს გადაეცათ სერტიფიკატები. **აქტივობა V**- ფინანსური თვე დავასრულეთ აქტივობით, სადაც ვუმასპინძლეთ კახეთის საჯარო სკოლის მე-8 კლასის მოსწავლეებს, რომლებსაც მე-9ა კლასის მოსწავლეებმა ჩაუტარეს ვორქშოფები ისეთი განსხვავებული საგნების თემატიკებზე, როგორებიცაა ბიზნესი, მეწარმეობა და კრიტიკული აზროვნება (ეს საგნები ისწავლება ჩვენთან სკოლაში და გამოყენებული აქტივობები ბავშვებს ჰქონდათ სიღრმისეულად დამუშავებული), ასევე მოწვეული სტუმრები გაყვეს გუნდებად, ჩვენი სკოლის მოსწავლეებიც იყვნენ მათი გუნდის წევრები და ერთად ითამაშეს სამაგიდო თამაში “ფინანსური ასოციაციობანა”. ჩვენი მოსწავლეების მათ გუნდში ყოფნა, სტუმრებს დაეხმარა ფინანსური სიტყვების მარტივად გაგებაში, ახსნასა და დამახსოვრებაში.
შედეგი / მიგნება, რომელიც დადგა / გამოიკვეთა აღნიშნული აქტივობის განხორციელების შემდეგ *(მიუთითეთ, როგორ გაზომეთ აღნიშნული შედეგი)*	პირველ რიგში, დოკუმენტს თან ვურთავ აქტივობების მიხედვით შეფასების კრიტერიუმებს, რის მიხედვითაც გაიზომა შედეგი. თანდართული დოკუმენტების სახით იხილეთ შეფასების კრიტერიუმები: I, II III აქტივობებში გამარჯვებული გამოვლინდა ქულების მიხედვით; IV აქტივობა -დებატების შეფასების კრიტერიუმი: სამაგიდო თამაშისას გამარჯვებული გუნდი გამოვლინდა ჯამური ქულებით (იმან რომ შევზღუდე და ჰქონდათ მხოლოდ 4 და 5 ქულიანი სიტყვების ამოღების უფლება, გააღრმავა ამ სიტყვების აქტიური დასწავლა) ელექტრონულ პლატფორმაზეც ქულების მიხედვით გამოვლინდა გამარჯვებული გუნდი - ანუ შედეგი გაიზომა სიტყვების მეტად და სიღმისეულად ცოდნით, ამის მიხედვით მოიპოვეს ქულები

	დებატების შემთხვევაში - ვურთავ შეფასების კრიტერიუმს:



მსაჯის ბიულეტენი

რაუნდის № —— თარიღი —— დრო —— ოთახი ——

გთხოვთ, სრულყოფილად შეავსოთ ბიულეტენი: სპიკერის ქულები, რანჟირება, ინდივიდუალური შენიშვნები, გადაწყვეტილებები, მონაცემები.
გთხოვთ, ჩააბაროთ ბიულეტენი შემდეგი რაუნდის დაწყებამდე.
კატეგორიები არ ფასდება ქულებით, ხოლო სპიკერის მაქსიმალური ქულა არის 10.

1მ				2მ				3მ					1უ				2უ				3უ			
												სახელი და გვარი												
მ	ფ	კ	დ	ც	მ	ფ	კ	დ	ც	მ	ფ	კ	დ	ც	კოდი	მ	ფ	კ	დ	ც	მ	ფ	კ	დ	ც
															ორგანიზაცია										
															არგუმენტაცია										
															მონაწილეობა										
															ნარდგენი										

——— ——— ——— სულ ——— ——— ———

——— ——— ——— რანგი ——— ——— ———

სპიკერს მიანიჭეთ ქულები არგუმენტაციის, დაცვის და ნარდგენის უნარის მიხედვით:
კოდი: მ = მესაინიმაცე ფ = ფრიადი კ = კარგი დ = დამაკმაყოფილებელი ც = ცუდი
რანგი: 1-6, 1 = უსაღლესი
თანაბარი რანგი და გადაწყვეტილება მიუღებელია

მტკიცებითი: ინდივიდუალური შენიშვნები	უარყოფითი: ინდივიდუალური შენიშვნები
დაახასიათეთ მეწყვილის ძირითადი არეები და წარმოადგინეთ თქვენი გადაწყვეტილების საფუძველი	

საუკეთესოდ დებატებს გაუძღვა ———— **მხარე, კოდი** ————.
(მტკიცებითი ან უარყოფითი)

მსაჯის ხელმოწერა და კოდი: ————————————————————.

	რაც შეეხება ბოლო აქტივობას, აქ შედეგი იყო მოსწავლეთა მოტივაცია, რომელსაც მხოლოდ მათი უკუკავშირით, სიხარულით, ბედნიერებითა და პროცესში, ბოლომდე, სრულად და აქტიური ჩართულობით ვზომავთ. რაც შეეხება კონკრეტულ შედეგს, კიდევ ერთხელ გამოიკვეთა, რომ მოსწავლეზე ორიენტირებული მეთოდებით სწავლება და მათი აქტიური მონაწილეობით სწავლების სტრატეგიები, მოსწავლეებს ეხმარებათ მარტივად და ხარისხიანად ისწავლონ საკითხები. როცა ისინი, თეორიას პრაქტიკაში გარდაქმნიან, შემდეგ ნასწავლი მასალა არ ავიწყდებათ და ესმით რეალური არსიც. მიგნება, რომ მოსწავლე თავად უნდა იყოს ყველა პროცესის აქტიური მონაწილე, კიდევ ერთხელ გამოიკვეთა და დადასტურდა ამ აქტივობების საშუალებით. თვის ბოლოს, მონაწილეთა 97% ფლობდა

	მოცემულ ტერმინოლოგიას, მსჯელობდა თემების ირგვლივ არგუმენტირებულად, მაგალითებით ასაბუთებდა პოზიციებს და ესმოდა მისი არსი.
ვიზუალური მასალა *(სავალდებულო წესით არ მოითხოვება და აღნიშნულით არ მოხდება შეფასება)*	